



მონაცემთა გაცვლის
სააგენტო

WWW.MY.GOV.GE

ს ა ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ო ფ უ რ ც ე ლ ი

გამოშვება #75

ივნისი, 2019

გამოშვებაში

1 საქართველოს კიბერუსაფრთხოებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების მე-11 რეგიონული კონფერენცია - GITI 2019

3 დია სამთავრობო მონაცემების ხელმისაწვდომობა და მათი გამოყენების პერსპექტივები

4 „მონაცემთა გაცვლის სააგენტო“ კვალიფიციური სანდო მომსახურებისა და ელექტრონული სერვისების ერთიანი პორტალის (MY.GOV.GE) შესახებ ტრენინგების ციკლს აგრძელებს

საქართველოს კიბერუსაფრთხოებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების მე-11 რეგიონული კონფერენცია - GITI 2019



საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ და „ICT ბიზნეს საბჭოს“ ორგანიზებით სასტუმრო „შერატონ გრანდ თბილისი მეტეხი პალასში“ 4-5 ივნისს რიგით მე-11 ყოველწლიური

რეგიონული კონფერენცია (გამოფენა, დაჯილდოება) ჩატარდა, რომლის მთავარი თემაც კიბერუსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხები და ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების მიმართულებები იყო. კონფერენცია წლის საუკეთესო პროექტების ავტორთა დაჯილდოების ცერემონიალით 5 ივნისს დასრულდა.

ყოველწლიურ კონფერენციას უკვე მოპოვებული აქვს საერთაშორისო აღიარება როგორც ინფორმაციულ-საკომუნიკაციო და კიბერუსაფრთხოების სფეროში ერთ-ერთ წამყვან ღონისძიებას, რომელსაც საქართველო მასპინძლობს. კონფერენციის დამსახურებით, წლიდან წლამდე უმჯობესდება ინოვაციური პროექტების ხარისხი, რაც უზრუნველყოფს მოქალაქეებისთვის უკეთესი ელექტრონული სერვისების ხელმისაწვდომობას.

ღონისძიება, ტრადიციულად, საქართველოს იუსტიციის მინისტრმა თვა წულუკიანმა გახსნა (გაგრძელება გვ. 2):



www.justice.gov.ge



www.house.gov.ge



www.my.gov.ge



www.sda.gov.ge



www.napr.gov.ge




www.archives.gov.ge



www.nbe.gov.ge



www.notary.ge



www.matsne.gov.ge

www.eAuction.ge
ელექტრონული აუქციონი

www.eauction.ge



www.tbilisi.gov.ge

(გაგრძელება. დასაწყისი გვ. 1) „ყოველი მომდევნო კონფერენცია განვითარების ახალ საფეხურზე გადადიოდა. დღეისათვის თამამად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ და „ICT ბიზნესსაბჭოს“ ორგანიზებით გამართული ღონისძიება ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და კიბერუსაფრთხოების სფეროში რეგიონული მასშტაბის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენაა, რომელიც თავს უყრის ინფორმაციულ-საკომუნიკაციო სფეროში ამერიკის, ევროპისა და აზიის ქვეყნების წამყვან მოთამაშეებს, სამთავრობო სტრუქტურების წარმომადგენლებსა და ექსპერტებს. მნიშვნელოვანია, რომ კონფერენციამ თავისი არსებობის განმავლობაში შექმნა საჯარო და კერძო სექტორების პარტნიორობის უნიკალური მოდელი, რომლის მიხედვითაც, ორივე მხარე ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი მიმართულების განვითარებისთვის ერთობლივი ძალისხმევით მუშაობს“, – აღნიშნა იუსტიციის მინისტრმა.



წლებანდელმა კონფერენციამ, რომლის დევიზია „პარტნიორობა კონკურენციის, ინოვაციებისა და კიბერუსაფრთხოებისთვის“, მსოფლიოს 10-ზე მეტი ქვეყნის 700-მდე წარმომადგენელს უმასპინძლა. კონფერენციის მონაწილეებმა განიხილეს კიბერუსაფრთხოებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების საკითხები, წარმოადგინეს წლის განმავლობაში შემუშავებული ინოვაციური IT პროექტები და გაეცნენ აღნიშნული მიმართულებით ამა თუ იმ ქვეყნის მიერ მიღწეულ წარმატებებს.



კონფერენციაზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო როგორც საქართველოში, ისე რეგიონში ელექტრონული მმართველობის განვითარების საკითხებს, კიბერ და ინფორმაციული უსაფრთხოების პროექტებს, ასევე ამ პროექტებში ტექნოლოგიური ინოვაციების დანერგვის პროცესს.

კონფერენციის მე-2 სამუშაო დღე კიბერ და ინფორმაციული უსაფრთხოების საკითხებს დაეთმო. კიბერუსაფრთხოების შესახებ პრეზენტაციები გააკეთეს ამ მიმართულების აღიარებულმა ექსპერტებმა.

„ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარება წარმოუდგენელია ინფორმაციული უსაფრთხოების გადაწყვეტილებების გარეშე. დღეისათვის საქართველო ელექტრონული მმართველობის განვითარების გზაზე მნიშვნელოვან ეტაპს გადის. სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურის მიერ იქმნება ინფორმაციულ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული არაერთი მომსახურება და ამით მარტივდება და ფაქტობრივად ახალ ეტაპზე გადადის სახელმწიფოსა და მოქალაქეს შორის ურთიერთობა. ეს პროცესი კი მჭიდროდ არის დაკავშირებული ინფორმაციულ უსაფრთხოებასთან. ამდენად, კონფერენციას ამ მხრივაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ამასთანავე, როგორც ელექტრონული მმართველობის, ისე ინფორმაციული უსაფრთხოების საკითხებზე მუშაობა „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა და მოხარულები ვართ, რომ ჩვენი სააგენტო მისი დაარსებიდან მოყოლებული ამ კონფერენციის ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორია“, – განაცხადა **ნიკოლოზ გაგნიძემ**, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ თავმჯდომარემ.

კონფერენცია ტრადიციულად დაჯილდოების ცერემონილით დასრულდა. წელს 15 ნომინაციაში როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორიდან 20 პროექტი იქნა წარდგენილი.

ღია სამთავრობო მონაცემების ხელმისაწვდომობა და მათი გამოყენების პერსპექტივები



ღია სამთავრობო მონაცემების ხელმისაწვდომობა და საზოგადოების მიერ მათი გამოყენების პერსპექტივები - ამ თემაზე 26 ივნისს ბიზნესის, სტარტაპების, სამოქალაქო საზოგადოებისა და აკადემიური წრეების წარმომადგენლებმა იმსჯელეს.

შეხვედრა ჩატარდა ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) ორგანიზებით, მონაცემთა გაცვლის სააგენტოსა (DEA) და საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოსთან (GITA) თანამშრომლობით.

“ღია მონაცემების ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვან როლს ითამაშებს ინოვაციური აპლიკაციებისა და

სერვისების განვითარებაში. მაგალითად, ტურიზმის მიმართულებით. რაც, ერთი მხრივ, გააუმჯობესებს სერვისებს და მეორე მხრივ, დაეხმარება ბიზნესისა და სტარტაპის წარმომადგენლებს შექმნან ახალი მომგებიანი პროდუქტები. რაც, საბოლოო ჯამში, დადებითად აისახება ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე. ამის მისაღწევად, აუცილებელია მთავრობამ ღია მონაცემების ღიაობა ციფრული ეკონომიკის განვითარების პროცესში ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად განიხილოს“. - აღნიშნა ღონისძიების გახსნით სიტყვაში IDFI-ის პროგრამების დირექტორმა ლევან ავალიშვილმა.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტო“ თავმჯდომარემ, **ნიკოლოზ გაგნიძემ** ხაზი გაუსვა ღია მონაცემების მნიშვნელობას და აღნიშნა, რომ თანამედროვე ტექნოლოგიების ეპოქაში ამ ტიპის მონაცემების ეფექტიან გამოყენებას მნიშვნელოვანი საზოგადო სარგებლის მოტანა შეუძლია.

„ღია მონაცემების კონცეფციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პროდუქტს წარმოადგენს ღია მონაცემების პორტალი, რომელიც ჩვენი სააგენტოს მიერ არის შექმნილი და უზრუნველყოფს საჯარო დაწესებულებების ღია მონაცემების გამოქვეყნებას გამოთვლად და ადვილად გამოსაყენებელ ფორმატებში. ეს მოქალაქეებს, ბიზნესის, მასმედიის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სამთავრობო დაწესებულებებს წარმომადგენლებს საშუალებას აძლევს შეუფერხებლად ისარგებლონ აღნიშნული მონაცემებით და ზედმეტი ძალისხმევის გარეშე მიიღონ საჭირო ინფორმაცია. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო, ღია მონაცემების გამოყენებით სხვადასხვა მობილური აპლიკაციისა და ელექტრონული სერვისის შექმნის შესაძლებლობა. ღია მონაცემების მეშვეობით დეველოპერი, ფაქტობრივად მზა ინფორმაციას იღებს, რათა შექმნას პრაქტიკული დანიშნულების არაერთი აპლიკაცია თუ ელექტრონული სერვისი“, - აღნიშნა **ნიკოლოზ გაგნიძემ**.

შეხვედრაზე DEA-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების პროექტების მენეჯერმა **დიმიტრი გუგუნავამ** ფართოდ ისაუბრა საქართველოში ღია მონაცემების ხელმისაწვდომობისა და DATA.GOV.GE -შესახებ. IDFI-ის მედიის, ინტერნეტის და ტელეკომუნიკაციების მიმართულების ხელმძღვანელმა თეონა ტურაშვილმა კი საზოგადოებას გააცნო ღია მონაცემების დახმარებით შექმნილი აპლიკაციები/სერვისები და ამ მიმართულებით არსებული საერთაშორისო გამოცდილება.

შეხვედრა დაფინანსებულია ვიშეგრადის საერთაშორისო ფონდის მიერ, ვიშეგრადის გრანტების პროგრამით, ჩეხეთის, უნგრეთის, პოლონეთისა და სლოვაკეთის მთავრობების თანადაფინანსებით. ფონდის მისიაა ცენტრალურ ევროპაში მდგრადი რეგიონული იდეების წახალისება.

„მონაცემთა გაცვლის სააგენტო“ კვალიფიციური სანდო მომსახურებისა და ელექტრონული სერვისების ერთიანი პორტალის (MY.GOV.GE) შესახებ ტრენინგების ციკლს აგრძელებს



საჯარო და კერძო სექტორის, ასევე საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებს 25-28 ივნისს სასტუმრო „იოტა ჰოტელ თბილისში“ ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული სანდო მომსახურების სამართლებრივი ასპექტების, ასევე ელექტრონული სერვისების ერთიანი პორტალის (My.gov.ge) პრაქტიკული დანიშნულების შესახებ ტრენინგი ჩატარდა. ღონისძიება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტო“ ორგანიზებითა და გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს მთავრობის UK Aid-ის მხარდაჭერით ჩატარდა.

ტრენინგს სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტო“ წარმომადგენლები უძღვებოდნენ. ტრენინგის მიზანია ფართო საზოგადოებისთვის ელექტრონული სერვისების ერთიანი პორტალის, სანდო ელექტრონული სერვისებისა და ელექტრონული ხელმოწერის შესახებ ინფორმაციის მიწოდება და პრაქტიკული უნარ-ჩვევების ამაღლება.

„ჩვენ ვაგრძელებთ ტრენინგების ციკლს და მოხარულები ვართ, რომ დაინტერესება განუხრელად იზრდება. ეს მეტად მნიშვნელოვანია, ვინაიდან საქმე ეხება ძირეულ სიახლეებს როგორც ელექტრონულ დოკუმენტზე კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის შესრულების ან/და კვალიფიციური ელექტრონული შტამპის გამოყენების, ისე ელექტრონული სერვისების ერთიანი პორტალზე განხორციელებული მნიშვნელოვანი ცვლილებების მიმართულებით. ჩვენი მიზანია, რაც შეიძლება მეტ ადამიანს მივაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონული სერვისების, ელექტრონული ხელმოწერის შესახებ და ნათლად დავანახოთ ის სარგებელი, რომლის მიღებაც მათი გამოყენების შემთხვევაშია შესაძლებელი. ტრენინგები მთელი საქართველოს მასშტაბით ტარდება, სამიზნე აუდიტორია კი მოიცავს ყველას - საჯარო მოხელეებს, კერძო სექტორში დასაქმებულებს, სტუდენტებს, მასმედიისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს, მეწარმეებსა და სხვა“, - **ევა გორდაძე**, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტო“ კიბერუსაფრთხოებისა და ელექტრონული მმართველობის სამართლებრივი კვლევისა და ანალიზის მენეჯერი.

კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/შტამპი კომუნიკაციის თანამედროვე ფორმის განუყოფელი ნაწილია და უსაფრთხოების მაღალ სტანდარტებთან შესაბამისობის გამო მისი გაყალბება პრაქტიკულად შეუძლებელია. კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის/შტამპის გამოყენება ამარტივებს ურთიერთობის პროცესს როგორც სხვადასხვა უწყებასთან და მომსახურების გამწევ ორგანიზაციასთან, ისე საქმიან პარტნიორებს შორის.

იხილეთ ჩვენი საიტები

www.dea.gov.ge; www.my.gov.ge

მონაცემთა გაცვლის
სააგენტო

უნივერსიტეტის ქ. 50
თბილისი 0102, საქართველო
ტელეფონი: (+ 995 32) 291 51 40
ელფოსტა: info@dea.gov.ge

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

მონაცემთა გაცვლის
სააგენტო



თუ ხართ ახალი მომხმარებელი ან კვლავ გსურთ საინფორმაციო ფურცლის გამოწერა, გთხოვთ გამოაგზავნოთ ელექტრონული შეტყობინება მისამართზე: info@dea.gov.ge და სათაურში მიუთითოთ **“Subscribe”** ან დაარეგისტრირდეთ თქვენი ელექტრონული ფოსტის მისამართი ვებ გვერდზე: www.e-government.ge

თუ არ გსურთ, მონაცემთა გაცვლის სააგენტოს საინფორმაციო ბიულეტენის მიღება, გთხოვთ